ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N27

2021 წლის 28 აპრილი

ქ.ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და სოფლის ავტობუსებზე შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს მიერ მგზავრობის მიმართულებებისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფების დადგენის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 19 აპრილის N01-14/3984 მომართვის შესაბამისად:

1. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და სოფლის ავტობუსებზე შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს მიერ მგზავრობის მიმართულებებისა და მგზავრთა გადაყვანის ტარიფები, თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურებს დაუდგინდეს შეღავათიანმი ტარიფი 0,20 ლარის ოდენობით ქობულეთის მუნიციპალური ტრანსპორტით (M3) მგზავრობის საფასურის გადახდისას. აღნიშნულმა პირებმა მგზავრობისას თან უნდა იქონიონ შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი მოწმობები ან/და დოკუმენტები;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 23 აგვისტოს N117 განკარგულება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქალაქთაშორისო და სოფლის ავტობუსებზე შპს „ქობულეთის ტრანსრეგულირება“-ს მიერ მგზავრთა გადაყვანის ტარიფების დადგენის შესახებ“;

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**

დანართი N1

№	მარშრუტის/მიმართულების დასახელება	მგზავრობის ღირებულება
1	ქ.ქობულეთი- ქ.ბათუმი	0.80 ლარი
2	სოფელი აჭყვისთავი - ქ.ბათუმი	1.60 ლარი
3	სოფელი აჭყვისთავი - ქ.ქობულეთი	0.70 ლარი
4	სოფელი ალამბარი -ქ. ბათუმი	1.40 ლარი
5	სოფელი მუხაესტატე -ქ.ბათუმი	1.30 ლარი
6	სოფელი ალამბარი - ქ.ქობულეთი	0.50 ლარი
7	სოფელი მუხაესტატე - ქ.ქობულეთი	0.40 ლარი
8	ჩოლოქის მეურნეობა - ქ. ბათუმი	1.30 ლარი
9	რკინიგზის სადგური - რუსთაველის ქუჩა	0.40 ლარი
10	რკინიგზის სადგური - აღმაშენებლის გამზირი	0.40 ლარი
11	რკინიგზის სადგური -ჩოლოქის მეურნეობა	0.50 ლარი
12	ქობულეთი - დენდროლოგიური პარკი	1,0 ლარი
13	სოფელი ჯიხანჯური - ქ.ბათუმი	1.60 ლარი
14	სოფელი ჯიხანჯური - ქ.ქობულეთი	0.70 ლარი
15	სოფელი ცეცხლაური -ქ.ბათუმი	1.40 ლარი
16	სოფელი ცეცხლაური - ქ.ქობულეთი	0.60 ლარი
17	სოფელი ჭახათი -ქ.ქობულეთი	1,0 ლარი
18	სოფელი კოხი- ქ.ქობულეთი	0,80 ლარი
19	სოფ: ქობულეთი-ქ.ქობულეთი	0,70 ლარი
20	სოფელი ხუცუბანი-ქ.ქობულეთი	0,50 ლარი
21	სოფელი კვირიკე - ქ. ქობულეთი	0,50 ლარი
22	სოფელი დაგვა - ქ. ქობულეთი	0,50 ლარი
23	სოფელი ზედა ხუცუბანი - ქ. ქობულეთი	0,70 ლარი
24	სოფელი აჭი - ქ. ქობულეთი	2,50 ლარი
25	ქ.ქობულეთი - ქ. ოზურგეთი	2,0 ლარი
26	სოფელი ქაქუთი - ქ. ქობულეთი	1,30 ლარი
27	სოფელი ლეღვა - ქ. ქობულეთი	0,90 ლარი
28	სოფელი წყავროკა - ქ. ქობულეთი	0,60 ლარი